	გამოხმაურება
ადმინისტრაციული ინფორმაცია	
1. პროექტის დასახელება	მთავარი სარკინიგზო ხაზის (**E65**) მრავალდონიანი „გზაჯვარედინის“ მშენებლობა მისი მისადგომი გზების სტრუქტურასთან ერთად - გდანსკის უბან ორუნიაში მულტიმოდალური სატრანსპორტო ცენტრის მშენებლობა მისადგომ გზასთან ერთად.
2. პროექტის წარმდგენი ეკონომიკური სუბიექტი	გდანსკის მუნიციპალიტეტი
3. პროექტზე პასუხისმგებელი უფროსი თანამდებობის პირი ეკონომიკურ უწყებაში	X
4. პროექტსა და პროექტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი დაქვემდებარებული ორგანიზაცია (თუ განსხვავდება ეკონომიკური სუბიექტისგან)	გდანსკის განვითრების დირექცია
5. პროექტზე პასუხისმგებელი პირი დაქვემდებარებულ ორგანიზაციაში (არსებობის შემთხვევაში)	X
A. პროგნოზირებული მაჩვენებლების რაციონალურობა და საჭიროებათა შეფასება	
a. ***ჩარევის საჭიროების დასაბუთება?***	
6. აღწერეთ კონკრეტული პრობლემა და პრობლემის სიმძიმე, რაც	ზოგადი თვალსაზრისით, პროექტი არის პასუხი გდანსკის მაცხოვრებლების მოთხოვნაზე - ქალაქის მოსახლეობას გააჩნდეს მულტიმოდალური სატრანსპორტო სისტემით ეფექტურად სარგებლობის საშუალება. ქალაქის სამხრეთ უბნები არის ეწ. „საძინებელი“ უბნები, შედეგად დილით და ნაშუადღევს არსებული პიკის საათის პერიოდში შეგვიძლია შევამჩნიოთ ტრანსპორტის სისტემის

	გამოხმაურება
უნდა გადაჭრას აღნიშნულმა პროექტმა.	საგრძნობი არაეფექტურობა როდესაც ვმოძრაობთ სამუშაოსკენ და უკან. დილის პიკის საათში მთავარი მოძრაობის მიმართულება არის ქალაქის ცენტრისა და საქმიანი ნაწილისკენ, ანუ უბნებში მეტი სამუშაო ადგილებით. ეს ტენდენცია შებრუნებულია შუადღე-საღამოს პიკის საათის პერიოდში. დამატებით, გზების ქსელი გდანსკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ასევე ემსახურება ხალხს რომელიც მოძრაობს მეზობელ ქალაქებში/ქალაქებიდან და სამხრეთით და დასავლეთით მდებარე სხვა მუნიციპალიტეტებში. მაგ. Pruszcz Gdański და Kolbudy. შედეგად, საგზაო საცობები ნაციონალურ 91-ე გზაზე ხელს უშლის გდანსკის მოქალაქეებს დანიშნულების ადგილამდე დროულად მისვლაში. რკინიგზის ხაზი - E65-ის მოდერნიზირების დამთავრების შემდეგ, 2015 წელს, პრობლემა გაიზარდა, რადგან შედეგად მატარებლის სიხშირემ და საშუალო სიჩქარემ მოიმატა სამ-ქალაქიან რეგიონში, ამ პროექტის ოპერირების ტერიტორიის ჩათვლით. ორუნის რაიონში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და პრობლემური სატრანსპორტო სისტემის ელემენტი არის სანდომერიკას ქუჩის და სარკინიგზო ხაზის - E65-ის გადაკვეთა (გზაჯვარედინი), რომელიც ამ რაიონს აკავშირებს ეროვნულ გზა 91-თან. ამჟამად, მთავარი სარკინიგზო მაგისტრალი - E65-ის და სანდომერიკის ქუჩის გზაჯვარედინზე მოქმედებს ბარიერები (შლაგბაუმები). დღეღამის მანძილზე ბარიერები საშუალოდ რვა საათის განმავლობაში არის დახურული, საიდანაც 00:00-დან 06:00 საათამდე პერიოდში მხოლოდ ერთი საათის მანძილზე არის დახურულ მდგომარეობაში. ხშირია, რომ მხოლოდ ორი მანქანა გადაკვეთს რკინიგზას, როდესაც ბარიერები იხსნება. ასევე ძალიან ხშირია სიტუაცია, როდესაც ფეხით მოსიარულეები იღებენ გადაწყვეტილებას გადაკვეთონ გზები მიუხედავად იმისა, რომ შლაგბაუმი დახურულ მდგომარეობაშია, რაც უპირობოდ ფატალური რისკის შემცველია. შედეგად, ვასკვნით რომ, Sandomierska-ს ქუჩის ტერიტორიაზე Gdańsk Orunia-ს მთავარ სარკინიგზო მაგისტრალი E-65-ის გადაკვეთის პროექტის სწრაფი განხორციელებაა საჭირო. რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს რეგიონში უსაფრთხოების გაუმჯობესებას და საფუძველს ჩაუყრის „ინტეგრირებული (მულტიმოდალური) სატრანსპორტო კვანძის“ შექმნას. აღნიშნული კვანძი გდანსკის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში ეფექტური მულტიმოდალური სატრანსპორტო სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტად არის მიჩნეული.
7. განმარტეთ თუ როგორ შეამსუბუქებს პროექტი ამ პრობლემას	პროექტი, რომელიც ამ განაცხადის საგანია ფართო პროექტის პირველ ეტაპს წარმოადგენს ("გდნსკის ორუნის რაიონში მულტიმოდალური სატრანსპორტო ცენტრის მშენებლობა და მისასვლელი გზების მოწყობა"). აღნიშნული კი ორუნიას რაიონში მცხოვრებთათვის, საშუალებას იძლევა გადაწყდეს უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო სისტემის ხელმისაწვდომობის გადაუდებელი პრობლემა. პროექტის უფრო ფართო მიზანს წარმოადგენს ქალაქის ამ ნაწილში სატრანსპორტო სისტემის განმუხტვა, რომელიც საშუალებას მისცემს მაცხოვრებლებს თავიანთი მანქანა დატოვონ სპეციალურ ინტეგრირებულ ავტოსადგომზე და გააგრძელონ მგზავრობა საზოგადოებრივი ტრანსპორტის საშუალებით.
8. შეაფასეთ/შეაჯამეთ რატომ არის საჭირო „სახელმწიფო ჩარევა“ (მიუთითეთ რატომ ვერ აგვარებს აღნიშნულ პრობლემას საბაზრო	ამჟამად პროექტით გათვალისწინებული ტერიტორიის მოწყობა არ შეესაბამება/ითვალისწინებს გაზრდილ და მეტად მზარდ საგზაო და სარკინიგზო მიმოსვლას. შედეგად, პიკის საათებში თავისუფალი მოძრაობა მკაცრად შეზღუდულია, რაც უარყოფითად აისახება პროექტის რაიონებისა და მიმდებარე ქალაქების მცხოვრებთა კომფორტსა და ეფექტურ გადაადგილებაზე. გარდა ამისა, აღწერილ ზონაში სარკინიგზო მიმოსვლის ზრდის შედეგად, ფეხით მოსიარულეთა უბედური შემთხვევები გახშირებულია. ეს პროექტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს დიაგნოზირებული პრობლემების გადაჭრაში, რაც მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს გდანსკის

	გამოხმაურება
მექანიზმები, მიუთითეთ ბაზრის ჩავარდნა, განაწილების / კაპიტალის პრობლემა, რომელსაც პროექტი მოაგვარებს)	სამხრეთ-დასავლეთით მდებარე უბნებისა და მეზობელი ქალაქების (Pruszcz Gdański, Kolbudy) სატრანსპორტო ხელმისაწვდომობის გაზრდას.
9. ჩამოთვალეთ აღნიშნული პრობლემის მოგვარების ალტერნატიული გზები, მათ შორის, ნებისმიერი პოლიტიკური/დირექტიული ღონისძიება/ზომა რომელიც არ მოიცავს კაპიტალურ ხარჯებს.	შუქნიშნების თანამიმდევრულობის შეცვლა, ზომების მიღება რათა შემცირდეს ამ ზონაში სატრანსპორტო მოძრაობა (მაგალითად, მძღოლების წახალისება საზოგადოებრივი ტრანსპორტით სარგებლობისთვის). უნდა აღინიშნოს, რომ ყველა ალტერნატიული გადაწყვეტა საბოლოოდ საჭიროებს დამატებით „საინვესტიციო ჩარევებს“ რეგიონის მზარდი პრობლემების მოსაგვარებლად.
b. საჭიროებათა შეფასება	
10. მიუთითეთ სამიზნე ჯგუფები, რომლებიც ისარგებლებენ პროექტით (ბენეფიციარები)	გდანსკის მოსახლეობა, განსაკუთრებით ორი უბნის მოსახლეები.
11. მიუთითეთ მიახლოებით რამდენი საბოლოო მომხმარებელი ეყოლება პროექტს (მიუთითეთ გაზომვის ერთეულ(ებ)ი მაგ. ცალკეული პირები, ოჯახი, ბიზნესი)	462 249 გდანსკის მოსახლე, განსაკუთრებით ორი უბნის მოსახლეობა რომელთა რაოდენობაც 64 390 ადამიანს შეადგენს.
12. შეაფასეთ მოთხოვნა პროექტის მიერ შექმნილ მომსახურებაზე და მიახლოებით შეაფასეთ თუ რამდენად გაიზრდება მოთხოვნა.	2012-2016 წლებში საინვესტიციო პროექტის დაფარვის ზონაში საშუალო დღიური მიმოსვლის რაოდენობა - 15% -ით გაიზარდა. საპროექტო წინადადების მიერ მოცულ ქუჩებზე მგზავრთა რაოდენობა სისტემატურად იზრდება. პროგნოზირებულია, რომ მომდევნო რამდენიმე წლის განმავლობაში, ამ ორი რაიონის მოსახლეობის რაოდენობა გაიზრდება დაახლოებით 20% -ით, რაც ასევე გაზრდის მგზავრთა რაოდენობას აღწერილ გზაჯვარედინზე (დაახლოებით 3-4% წელიწადში).

	გამოხმაურება
მიუთითეთ გაზომვის ერთეულ(ებ)ი (მაგალითად, კუბური მეტრი წყალი დღეში, ავტომობილების რაოდენობა დღეში, მომხმარებლების რაოდენობა დღეში და ა.შ.).	
13. მიუთითეთ შემოთავაზებული ობიექტების სავარაუდო ფიზიკური მოცულობები და შესაბამისი ზომის ერთეულ(ებ)ი (მაგალითად, კუბური მეტრი წყალი/დღეში, ავტომობილების რაოდენობა/დღეში, მომხმარებლების რაოდენობა დღეში, გამოსაყენებელი სივრცე m^2-ში და ა.შ.).	ძირითადი ტექნიკური პარამეტრები: • ქუჩის ტექნიკური კლასი: G, • მოდერნიზებული და აშენებული გზების საერთო სიგრძე: 2,5 კმ, • გზაჯვარედინი, ორმაგი სავალი ნაწილი, • ზოლების რაოდენობა: 2x3.5 მ ყოველ გზაზე, • სიჩქარე დიზაინის მიხედვით [VP]: 50 კმ / სთ • ტროტუარი ველოსიპედის ბილიკით - 4.0 მ (1.5 მ - ტროტუარი, 2.5 მ - ველოსიპედის გზა, ორმხრივი).
c. პროექტის მასშტაბი	
14. აღწერეთ პროექტი და მისი კომპონენტები. ახსენით, თუ როგორ წარმოადგენენ ისინი ყოვლისმომცველ / საუკეთესო გამოსავალს.	ამ პროექტის ფარგლებში დაგეგმილია კონცეპტუალური დიზაინის შემუშავება გდანსკი ორუნიას რაიონში მულტიმოდალური სატრანსპორტო კვანძისა და შესაბამისი გზების მშენებლობისთვის. ასევე, დიზაინთან ერთად შემუშავებული იქნება გარემოსდაცვითი და სხვა (სააპლიკაციო) დოკუმენტაცია ხაზი E65-ს და სანდომერიკას ქუჩის გზაჯვარედინის მშენებლობისთვის. პროექტის ძირითადი მიზნებია: • გდანსკი - ორუნიაში მულტიმოდალური სატრანსპორტო კვანძის მშენებლობის კონცეპტუალური დიზაინის შემუშავება • სანდომერიკას ქუჩისა და სარკინიგზო მაგისტრალის E65-ის მრავალ-დონიანი გზაჯვარედინის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება; • სანდომერიკას ქუჩისა და სარკინიგზო მაგისტრალის E65-ის მრავალ-დონიანი გზაჯვარედინის მშენებლობისათვის გარემოსდაცვითი დოკუმენტაციის შემუშავება;

	გამოხმაურება
	• სანდომერიკას ქუჩისა და სარკინიგზო მაგისტრალის E65-ის მრავალ-დონიანი გზაჯვარედინის მშენებლობისათვის განაცხადის დოკუმენტაციის შემუშავება, ტექნიკურ-ეკონომიკური მოკვლევისა და აუცილებელი დანართების მომზადება რათა მოხერხდეს დაფინანსების მისაღებად მიმართვა საოპერაციო პროგრამაზე - ინფრასტრუქტურისა და გარემოს დაცვის ღონისძიებები 5.1 TEN-T სარკინიგზო ქსელის განვითარება ან სხვა საშუალებები (რომელიც ხელმისაწვდომია ზემოთ აღნიშნული დოკუმენტაციის მომზადების დროს); • სამშენებლო სამუშაოები (გზაჯვარედინი, შშმ ხიდი, ტროტუარები და ა.შ.).
B. სტრატეგიული მიზანი	
15. მიუთითეთ, თუ როგორ შეუწყობს ხელს პროექტი მთავრობის სტრატეგიული მიზნებისა და ეკონომიკური სუბიექტის მიზნებისა და ამოცანების მიღწევას.	ეს პროექტი მოიცავს დოკუმენტაციის განვითარებას, რის შედეგადაც დაგეგმილი ინვესტიცია შეიტანს წვლილს ბალტიის ზღვაზე ევროკავშირის სტრატეგიის, კერძოდ, მესამე თემატურ სვეტში არსებულ გეგმებში მოქმედი ვალდებულებების შესრულებაში, რომელიც გულისხმობს "ბალტიის ზღვის რეგიონის გარდაქმნას ხელმისაწვდომ და მიმზიდველ ადგილად". ასევე ის შეუწყობს ხელს მეორე პრიორიტეტს რაც მოიცავს შიდა და გარე სატრანსპორტო კავშირების გაუმჯობესებას. ინვესტიცია ხელს უწყობს ევროპის 2020 სტრატეგიის მიზნებს, კერძოდ, ფლაგმან ინიციატივას: რესურსი-ეფექტური ევროპა, ძლიერი ფოკუსი რათა შეიქმნას თანამედროვე და ეფექტიანი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ქსელი. გარდა ამისა, ამ ინვესტიციების განხორციელებას და შესაბამისი განაცხადის წარდგენას შეაქვს წვლილი იმ მიზნებსა და პრიორიტეტების შესრულებაში, რომლებიც გაწერილია 2013 წლის 11 დეკემბრის 1315/2013 და 1315/2013 რეგულაციებში (აღნიშნული მოიცავს ტრანს-ევროპული სატრანსპორტო ქსელის განვითარების სახელმძღვანელო პრინციპებს) და 2013 წლის 11 დეკემბრის 1316/2013 რეგულაციაში (რაც გულისხმობს ევროპული ინტეგრირებული დამაკავშირებელი ობიექტების ჩამოყალიბებას, მულტიმოდალური ტრანსპორტის ტენდენციების გათვალისწინებით). წინამდებარე პროექტი ასევე ხელს უწყობს შემდეგ რეგიონულ, ეროვნულ და სექტორულ სტრატეგიებს: • გრძელვადიანი ეროვნული განვითარების სტრატეგია - პოლონეთი 2030 თანამედროვეობის მესამე ტალღა • ეროვნული განვითარების სტრატეგია 2020 წლამდე • ტრანსპორტის განვითარების სტრატეგია 2020 წლამდე (2030 წლამდე პერსპექტივით) • ეროვნული ტრანსპორტის პოლიტიკა 2006 - 2025 წლებში • ქალაქის განვითარების სტრატეგია გდანსკი 2030 პლუს შემოთავაზებულ დროს დიაგნოზირებული პრობლემის გადაჭრა დროითი თვალსაზრისით აღნიშნული სტრატეგიების განხორციელების გრაფიკთან თანხვედრაშია.
C. წინასწარი ეკონომიკური მაგალითი და	

<table>
<tr><th></th><th>გამოხმაურება</th></tr>
<tr><td>ალტერნატივების ანალიზი</td><td></td></tr>
<tr><td>a. პროექტის ხარჯები</td><td></td></tr>
<tr><td>16. მიუთითეთ პროექტისა და მისი რელევანტური ალტერნატივების მთლიანი სავარაუდო ღირებულება, მათ შორის ტექნიკური ვარიანტები მიმდინარე ფასებში. ასევე მიუთითეთ დაგეგმილი გარემოსდაცვითი შემარბილებელი ღონისძიებები რაც დაგეგმილია. მიუთითეთ ხარჯების შეფასების საფუძველი.</td><td>
პროექტის ძირითადი აქცენტი უნდა გულისხმობდეს სანდომერიკას ქუჩისა და სარკინიგზო მაგისტრალის E65-ის მრავალ-დონიანი გზაჯვარედინის მშენებლობის პროექტის დიზაინის შემუშავებას მულტიმოდალური სატრანსპორტო კვანძის საერთო კონცეპტუალურ დიზაინთან ერთად. თუმცა აღნიშნული გეგმის სრულად განხორციელება უნდა იყოს სხვა განაცხადის საგანი. ის მოითხოვს უფრო მეტ ძალისხმევას, გადაწყვეტილების ყველა დეტალის შეთანხმების თვალსაზრისით, პოტენციურ პარტნიორებთან - მ.შ. პოლონეთის ეროვნული რკინიგზა.
<table>
<tr><th>ეტაპი</th><th>სახელი</th><th>სავარაუდო ღირებულება(EUR)</th></tr>
<tr><td>I</td><td>ძირითადი სარკინიგზო მაგისტრალის მაგისტრალური გადაკვეთის მშენებლობისათვის "გდანსკის ორუნიას რაიონში მულტიმოდალური სატრანსპორტო ცენტრის მშენებლობა და მისასვლელი გზის" და დიზაინის, გარემოსდაცვითი და საკომუნიკაციო დოკუმენტაციის კონცეპტუალური დიზაინის შემუშავება. Sandomierska-ს ქუჩის ტერიტორია - Gdańsk</td><td>1 019 460</td></tr>
<tr><td>II</td><td>სანდომერიკას ქუჩისა და სარკინიგზო მაგისტრალის E65-ის მრავალ-დონიანი გზაჯვარედინის მშენებლობა</td><td>11 000 000</td></tr>
<tr><td colspan="2">ჯამი</td><td>12 019 460</td></tr>
</table>
ხარჯების შეფასების საფუძველია მსგავსი საგზაო პროექტების ხარჯები.
სავარაუდო ხარჯები დიდ მასშტაბიანი - მშობელი პროექტისთვის (გდანსკის ორუნის რაიონში მულტიმოდალური სატრანსპორტო კვანძის მშენებლობა და შესაბამისი მისასვლელი გზების მოწყობა) დაახლოებით 115 მლნ ევროს შეადგენს.
</td></tr>
<tr><td>17. პროექტის შეფასებისთვის საჭირო შემდგომი გამოკვლევ(ები)ის</td><td>
პროექტის შეფასებისთვის საჭირო შემდგომი გამოკვლევის მაგალითები:

სატრანსპორტო მოძრაობის ანალიზი და პროგნოზები - გარერესურსირება (აუთსორსინგი) მაგ. ფასი - € 10 000
ტექნიკურ ეკონომიკური მოკვლევა პროექტისთვის - გარერესურსირება (აუთსორსინგი) მაგ. ფასი - € 100 000
ბუნებაზე ზემოქმედების ანალიზი - გარერესურსირება (აუთსორსინგი) მაგ. ფასი - € 10 000

</td></tr>
</table>

	გამოხმაურება
ღირებულებების შეფასება.	
b. პროექტის სარგებელი	
18. აღწერეთ პროექტის მიერ შექმნილი აქტივებისგან მიღებული ძირითადი სარგებელი მომხმარებლისთვის.	პროექტის საბოლოო სარგებელი, პირველ რიგში განკუთვნილია ყველა მომხმარებლისთვის (მაგ. მძღოლების ან მაცხოვრებლებისთვის) და არა დეველოპერისთვის (მაგ. მერია). ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელი არის მოძრაობის გაუმჯობესება, რაც დაკავშირებულია შემდეგ კონკრეტულ ბენეფიტებთან: 1. <u>გაუმჯობესებული უსაფრთხოება</u> - ეს არის პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი სარგებელი, რომელიც ამ ინვესტიციის განხორციელების შედეგად მოხდება. გდანსკში სანდომერიკას ქუჩისა და სარკინიგზო მაგისტრალი E65-ის მრავალ-დონიანი გზაჯვარედინის მშენებლობა შეამცირებს იმ უბედური შემთხვევების რაოდენობას, რომელშიც ჩართულნი არიან ფეხით მოსიარულეები, რომლებიც დახურული შლაგბაუმის მიუხედავად კვეთენ სარკინიგზო ტრასას. ეს ყველაფერი გაზრდის გდინია-ვარშავის სარკინიგზო მონაკვეთის სიჩქარესა და ხარისხს. 2. <u>დროის დაზოგვა მძღოლებისათვის</u> - წარსულში წარმოდგენილი გაანგარიშების მიხედვით, სანდომერიკას ქუჩაზე შლაგბაუმის წინ საშუალო მოლოდინის დრო 23 წუთია. განაცხადის დოკუმენტაციით გათვალისწინებული ინვესტიციის განხორციელების შედეგად, ფეხით მოსიარულეები, ავტომობილის მძღოლები და სამომავლოდ ავტობუსების მძღოლები შეძლებენ მნიშვნელოვნად დააჩქარონ თავიანთი გზა სამსახურისკენ, სკოლისკენ. გარდა ამისა, გადაკვეთა ასევე გამოიყენება იმ მძღოლების მიერ, რომლებიც დასაქმებულნი არიან ადგილობრივი მომსახურების კომპანიებში.

	გამოხმაურება
19. გამოავლინეთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი გარეგანი ფაქტორები, მაგ. სარგებელი ან ხარჯი არა-მომხმარებელთათვის	<u>1. გარემოს დაბინძურების შემცირება და მავნე აირის ემისიის შემცირება, აგრეთვე ხმაურის დონის კლება</u> - რკინიგზის გადაკვეთის წინ სატვირთო მანქანების დიდი დროით დაყოვნების შედეგად იზრდება CO2- ის და სხვა მავნე ნივთიერებების ემისიის დონე, რომელიც აბინძურებს გარემოს. გარდა ამისა, გადატვირთულობა იწვევს ხმაურს, რომელიც შემცირდება ინვესტიციის განხორციელების შედეგად. <u>2. ქალაქის მიმზიდველობის გაზრდა ბიზნესისთვის</u> - სატრანსპორტო მარშრუტებში ინვესტიციის ადგილმდებარეობა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორია კერძო სექტორისათვის. ძირითადი სარკინიგზო ხაზის E65- ის გადაკვეთის მშენებლობა, გაზრდის ქალაქში არსებულ კერძო სექტორის მხრიდან ინვესტირების მიზნით პოტენციურად მიმზიდველ უძრავი ქონებების არეალს. სწრაფი მგზავრობის დრო შესაბამისად გაზრდის ეფექტიანობას ადგილობრივი ბიზნესისთვის და შეამცირებს მათ ხარჯს. <u>3. ტურისტებისთვის ქალაქის მიმზიდველობის ზრდა</u> - ქალაქ გდანსკს ძალიან დიდი ტურისტული პოტენციალი გააჩნია. მის ტერიტორიაზე გადაადგილების ეფექტური სერვისის არსებობა ერთ-ერთი მთავარი ასპექტია, რომელიც გავლენას ახდენს ქალაქის აღქმაზე პოტენციური სტუმრების მიერ.
20. პროექტის სხვადასხვა ალტერნატივებისათვის, აღწერეთ ნებისმიერი მნიშვნელოვანი განსხვავება სარგებელში	უმთავრესი განსხვავება არჩეულ საინვესტიციო პროექტის სარგებელსა და მის ალტერნატივებს შორის არის პრობლემების გადაწყვეტის მასშტაბი. დიდი პროექტი ყველა პრობლემას ჭრის - უსაფრთხოების დონე და დროის დანაზოგი მძღოლებისთვის უფრო მაღალია, ჰაერის დაბინძურება კი დაბალი. ალტერნატიულმა პროექტებმა შეიძლება შემოგვთავაზოს დროებითი გადაწყვეტა, მაგრამ სარგებელი ნაკლებია. არცერთი სხვა ინვესტიცია არ იწვევს საბაზისო პრობლემების კონცეპტუალურ გადაჭრას და მათი თანდათანობითი გამძაფრების თავიდან არიდებას.
21. დაადგინეთ პროექტის ძირითადი სარგებელი და ხარჯები, რომლებიც შეფასებადია, მ.შ. არამატერიალური სარგებელი და დადებითი და უარყოფითი გარე-ფაქტორები (გარეგანი ეფექტები). დაადგინეთ მნიშვნელოვანი	1. <u>უფრო კომფორტული მგზავრობა</u>- ეს არის დამატებითი სარგებელი, რომელსაც იწვევს ამ ინვესტიციის განხორციელება. E65 მთავარი სარკინიგზო ხაზის მრავალდონიანი გზაჯვარედინის აშენება განტვირთავს მოძრაობას Orunia – Św. Wojciech-Lipce-ს რაიონში, რაც გამოიწვევს საცობების შემცირებას, რაც დღესდღეობით მგზავრობის დაბალი კომფორტის ერთ-ერთი მიზეზია. 2. <u>მოსახლეთა კმაყოფილების ზრდა-</u> მგზავრობის ამაღლებული კომფორტი აუცილებლად მოახდენს გავლენას მცხოვრებთა სუბიექტურ გრძნობებზე ქალაქში ცხოვრების სტანდარდთან დაკავშირებით. გდანსკში და მის მახლობლად მგზავრობის ხარისხით მზარდი კმაყოფილება, რაც შეიქმნება ამ ინვესტიციის შედეგად, ასევე გამოიწვევს მოსახლეობის გაზრდილ კმაყოფილებას ქალაქის მმართველობის მიერ განხორციელებული სხვა მოქმედებებთან დაკავშირებით. 3. <u>გაზრდილი ცხოვრების კომფორტი</u>– ქალაქის გარშემო უფრო ეფექტური მგზავრობა მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომელიც გავლენას ახდენს გრძნობებზე რომლებიც დაკავშირებულია ქალაქში ცხოვრების კომფორტის დონესთან. რადგან მთავარი რკინიგზის E65 ხაზის გზაჯვარედინის აშენება გდანსკის ზოგიერთ პრობლემას გადაჭრის, ის აუცილებლად იქონიებს ზეგავლენას იმაზე, თუ როგორ აღიქვამენ მაცხოვრებლები ცხოვრების ხარისხსა და კომფორტს.

	გამოხმაურება
დადებითი და უარყოფითი ზემოქმედება, რომლის შეფასებაც რთულია.	პროექტის უმთავრესი ხარჯი არის შენებასთან და რემონტთან დაკავშირებული ყველა ხარჯი, რაც მოიცავს მაგალითად გზის ზედაპირის რემონტს, ახალი გზების აშენებას, ესტაკადების (ვიადუქტების), რკინიგზის გადაკვეთების, ტროტუარების, ველოსიპედის გზების აშენებას და ა.შ. ყველა ამ სამუშაოს დაწყება დროებით გააჩენს უზარმაზარ პრობლემებს მცხოვრებთა და მძღოლთათვის (გაზრდილი ხმაური, მოძრაობის რეორგანიზაციიდან გამომდინარე დამატებითი საცობები და ა.შ.)
c. ეკონომიკური სიიცოცხლისუნარიანობა (შედეგიანობა)	
22. მიუთითეთ კაპიტალური დანახარჯი თითო მომხმარებელზე ან კაპიტალური დანახარჯი საბოლოო მომსახურების მოთხოვნის ერთეულზე.	მთავარი მომხმარებლები: ორი უბნის მოსახლეობა - 64 390 პროექტის პირველი ეტაპის (ამ აპლიკაციის ობიექტის) ფასები ერთ სულზე - € 187 დაახლოებითი მთლიანი პროექტის საფასური: € 127მლნ დაახლოებითი კაპიტალური ხარჯი ერთ მომხმარებელზე € 1972
23. აღწერეთ თუ როგორ განსხვავდება ეს ხარჯები ალტერნატიული პროექტების ხარჯებისაგან და ბოლო დროს დასრულებული მსგავსი პროექტების ხარჯებისაგან.	ახლახანს დასრულებული პროექტი: აეროპორტის გდანსკის პორტთან დაკავშირება - Słowacki-ს გზით მთავარი მომხმარებლები: გდანსკის მოსახლეობა - 462 249 პროექტის მთლიანი საფასური - € 330 მლნ დაახლოებითი კაპიტალური ხარჯი მომხმარებელზე - € 913
24. პოტენციური ხარჯებისა და სარგებლის ხელთ არსებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ახსენით, თუ რატომ არის ამ პროექტით მოსალოდნელი საჯარო რესურსის გამოყენება უფრო კეთილგონივრული ალტერნატივებთან შედარებით (მათ შორის	დღეისათვის ავტომობილების მოძრაობა ქალაქის იმ ნაწილში რომელიც დაფარულია ამ ინვესტიციით (გდანსკის ორი რაიონის მცხოვრებთათვის), განსაკუთრებით კი პიკის საათებში, დიდი პრობლემაა. მატარებლების მაღალი სიხშირე მნიშვნელოვნად ზღუდავს რაიონებს შორის შეუფერხებლად გადაადგილების შესაძლებლობას. მოდერნიზაციის ნაკლებობა ხელს უწყობს დიაგნოზირებული პრობლემების გაღრმავებას. გაზრდილი მგზავრობის დრო, ატმოსფეროში მავნე ემისიების მაღალი დონე / ზრდა, სამოგზაურო კომფორტის დაბალი დონე და ამ რაიონებში მცხოვრები მოსახლეობის დაბალი კმაყოფილება მხოლოდ რამდენიმე საკითხია, რომელთა მოგვარებაც ამ პროექტის მიზანია. შუქნიშნების თანმიმდევრობის შეცვლა ან ტურისტების წახალისება სხვადასხვა ტიპის საჯარო სატრანსპორტო საშუალებების გამოყენების მიზნით მხოლოდ პრობლემების დროებითი და ნაწილობრივი გადაწყვეტაა. რეალური ალტერნატიული გადაწყვეტის შედეგები შეიძლება განვიხილოთ უფრო გრძელვადიან პერიოდში, თუმცა აღსანიშნავია რომ ეს ალტერნატივები ასევე საჭიროებენ ფინანსურ რესურსს (გარკვეულ ინვესტიციებს), მაგ. საზოგადოებრივი ტრანსპორტის სისტემის შეცვლა და პარკირების ადგილების ზრდა. საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების წახალისება სამომავლოდ უნდა იყოს

<table>
<tr><th></th><th>გამოხმაურება</th></tr>
<tr><td>ერთერთ ალტერნატივად განიხილეთ არანაირი ზომების არ მიღება).</td><td>ქალაქის საერთო პოლიტიკის ნაწილი. კვლევამ აჩვენა, რომ ქალაქში მანქანების რაოდენობა იზრდება და, შესაბამისად მათი გამოყენების უარყოფითი შედეგებიც. მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული დიზაინის გადაწყვეტას საბოლოოდ არ მოაქვს პირდაპირი ფინანსური სარგებელი ქალაქის ბიუჯეტისათვის (საინვესტიციო და საოპერაციო ფაზაში იქნება მხოლოდ ხარჯის მომტანია), ის წარმოადგენს ქალაქის ბიუჯეტის თანხების აზრიანი განკარგვის მაგალითს. ამ ინვესტიციის წყალობით, გზის შეფერხება შემცირდება, უსაფრთხოების დონე გაიზრდება (უბედური შემთხვევების რიცხვი ფეხით მოსიარულეთა, სატრანსპორტო საშუალებათა და მატარებელთა მონაწილეობით შემცირდება), ატმოსფეროში გასული დაბინძურების დონე შემცირდება.</td></tr>
<tr><td>25. დაწერეთ ყველაზე მნიშვნელოვანი რისკები და ვარაუდები, რომლებმაც შესაძლოა პოტენციური ზეგავლენა იქონიოს პროექტის ეკონომიკურ მდგრადობაზე (ამ რისკებისა და ვარაუდების გამოვლინების ან არ გამოვლინების შემთხვევაში). დაადგინეთ ყველა აშკარა შემამსუბუქებელი (რისკის შემამცირებელი) ღონისძიება, რომელთა გათვალისწინებაც აუცილებელია დაგეგმვისას.</td><td>
<table>
<tr><th>რისკები</th><th>შემცირების / შემსუბუქების საშუალებები / საზომი</th></tr>
<tr><td>გაჭიანურებული ხანგრძლივი სატენდერო პროცედურები</td><td>კარგი ხარისხის სატენდერო დოკუმენტაცია, სატენდერო დოკუმენტაციის შემუშავების გარერესურსირების (აუთსორსინგის) მომსახურების გამოყენება</td></tr>
<tr><td>პროექტის განხორციელების არასათანადო ხელმძღვანელობა/ მართვა</td><td>მომზადების, გაშვების და შესრულების/განხორციელების ეტაპზე გამოცდილი კადრების ჩართვა</td></tr>
<tr><td>დროული შესრულება</td><td>ხელშეკრულების შესრულების პირობების წინდახედულად განსაზღვრა და სათანადო ფორმულირებები კონტრაქტებში</td></tr>
<tr><td>ევროკავშირისგან ფულადი სახსრების ვერ მიღება/არ მიღება</td><td>დაფინანსების სხვა წყაროების მოძიება, მუნიციპალურ ბიუჯეტში ფულადი სახსრების რეზერვირება/გადანახვა (სესხის ინსტრუმენტის შესაძლო გამოყენება)</td></tr>
<tr><td>არასაკმარისი საკუთარი ფინანსური სახსრები</td><td>დაფინანსების სხვა წყაროების მოძიება, მუნიციპალურ ბიუჯეტში ფულადი სახსრების რეზერვირება/გადანახვა (სესხის ინსტრუმენტის შესაძლო გამოყენება)</td></tr>
<tr><td>სამუშაოს შესრულების ხარჯების გაზრდა</td><td>რეალური სამუშაოების და ფინანსების მაღალი დონის დაგეგმვა, მომზადება და მონიტორინგი მუდმივ რეჟიმში.</td></tr>
<tr><td>პროექტის შესრულების/განხორციელების ვადის გადაცილება</td><td>რეალური სამუშაოების და ფინანსების მაღალი დონის დაგეგმვა, მომზადება და მონიტორინგი მუდმივ რეჟიმში.</td></tr>
<tr><td>არაზუსტი/მცდარი სატრანსპორტო პროგნოზირება</td><td>მაღალკვალიფიციურ კომპანიასთან მომსახურების გარერესურსირება (აუთსორსინგი)</td></tr>
</table>

რეაგირება და ქმედება, რომელიც გულისხმობს რისკის წარმოშობის თავიდან აცილებას (პროექტის ჩავარდნის ალბათობის მინიმიზირებას) მოიცავს შესაბამისი საკონტრაქტო დებულებების და ფორმულირებების ხელშეკრულებების დონეზე მკაფიოდ გაწერას. გარდა ამისა, კონტრაქტორის შერჩევის პროცესი უნდა იქნას მორგებული უშუალოდ პროექტის საჭიროებებზე. აპლიკანტი დაამყარებს აქტიურ კავშირს პროექტში ჩართულ ძირითად სუბიექტებთან / ორგანიზაციებთან, რათა გამოირიცხოს ინდივიდუალური</td></tr>
</table>

	გამოხმაურება
	რისკების ალბათობა. თუმცა, ყველაზე მნიშვნელოვანი არის გამოცდილი ადამიანური რესურსების ჩართვა პროექტის მომზადების, დაწყების და განხორციელების ეტაპზე. ეფექტიანი მართვა, მიზნად ისახავს მიზნების მისაღწევად საჭირო ღონისძიებების დაგეგმვას, შესრულებას და კონტროლს, ასევე ხელის შეწყობას რისკის თავიდან ასაცილებლად (სათანადო მეთოდების გამოყენებას რისკების თავიდან აცილების მიზნით). ამ აპლიკაციის შესაბამისი აქტივობების დაფინანსების უზრუნველსაყოფად გდანსკის მუნიციპალიტეტმა მოახდინა თანხის რეზერვირება 1.3.6.1 "მომავალი პროექტების დოკუმენტაციის შემუშავება" მუხლის ფარგლებში ქალაქის ბიუჯეტში, შესაბამისად ამ აპლიკაციის მიხედვით განსაზღვრული აქტივობების შესაბამისი ფინანსური რესურსის 50% ქალაქის ბიუჯეტიდან დაფინანსდება.
D. (ფინანსური) ხელმისაწვდომობა	
26. წარმოადგინეთ პროექტის პროგნოზირებული ზემოქმედება ბიუჯეტზე, როგორც მისი განხორციელების, ასევე ექსპლუატაციის დროს.	აღწერილი პროექტის ფარგლებში არ არის მოსალოდნელი გადასახადის დაწესება აღნიშნული ინფრასტრუქტურის გამოყენებაზე, ამიტომ შემოსავლების პროგნოზები არ გაკეთებულა. ბენეფიციარს ეკისრება მხოლოდ ხარჯები, როგორც საინვესტიციო პერიოდში, ასევე საოპერაციო ეტაპზე. პროექტის განხორციელების შედეგად აშენებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის სავარაუდო ხარჯები დაახლოებით 10% -ით გაიზრდება არსებულ ვითარებასთან შედარებით. დეტალური ოპერაციული ხარჯების ანალიზი უნდა იყოს შემდგომი ანალიზის საგანი.
27. დაადგინეთ დაფინანსების სხვა პოტენციური წყაროები ბიუჯეტისა და მოსალოდნელი კონტრიბუციების გარდა. ახსენით გადასადგმელი ნაბიჯები ან მისაღები გადაწყვეტილებები რაც საჭიროა მსგავსი დაფინანსების მისაღებად და მიუთითეთ ვადები.	ბენეფიციარმა შეიძლება მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება (მაგალითად, საგზაო ან სარკინიგზო ფონდი) ან ევროკავშირის სახსრები (განაცხადი უნდა შეესაბამებოდეს ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდის კონკრეტული პროგრამის მოთხოვნას). დაგეგმილია, რომ დოკუმენტაციის მომზადებაზე განაცხადების წარდგენა 2017 წელს მოხდება და დოკუმენტაციის მომზადება 2020 წლამდე უნდა დასრულდეს. პროექტის პირველი ეტაპის განხორციელება შესაძლებელი იქნება 2020 წლის შემდეგ. დასრულების სავარაუდო თარიღი პროექტის პირველი ეტაპისათვის არის 2023 წელი.
28. თუ მოსალოდნელია რომ ადგილობრივი თვითმმართველობიდან და თვითდაფინანსებადი	აღნიშნული ინვესტიციის განხორციელებისათვის მერიის მიერ გამოყოფილი თანხები რეზერვირებულია საკრებულოს რეზოლუციით გრძელვადიანი საინვესტიციო გეგმაში ასახულია.

	გამოხმაურება
საჯარო უწყებებიდან შესაბამისი დაფინანსების მოპოვება არის აუცილებელი, მოიყვანეთ არგუმენტები, რომ ნამდვილად შესაძლებელი იქნება ბიუჯეტიდან თანხის გამოყოფა	
E. განხორციელება	
a. შესყიდვები	
29. მიუთითეთ კონკრეტული საკითხები, რაც გასათვალისწინებელია შესყიდვის მიდგომასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებისას.	სატენდერო პროცედურა განხორციელდება გდანსკის მუნიციპალიტეტის მიერ. სასურველია დიზაინის დოკუმენტაციის ტენდერისა და სამშენებლო სამუშაოების შესრულების ტენდერების გაერთიანება. ტენდერის პროცედურა შემდგომი საინვესტიციო ეტაპისათვის - გდანსკის უბან ორუნიაში მულტიმოდალური სატრანსპორტო ცენტრის მშენებლობა მისადგომ გზასთან ერთად - უნდა იყოს შემდგომი ანალიზისა და შეთანხმებების საგანი სააქციო საზოგადოება პოლონეთის ეროვნული რკინიგზასა და შპს პოლონეთის ეროვნული რკინიგზა SKM-სთან.
30. ჩამოაყალიბეთ პროექტის მახასიათებლები, რომელიც განსაზღვრავს საჯარო -კერძო პარტნიორობის (PPP) უპირატესობას შესყიდვის კუთხით.*	პროექტი ითვალისწინებს სარკინიგზო ინფრასტრუქტურის აშენებას ან გაფართოებას, როგორიცაა სარკინიგზო პლატფორმა, რომელიც Park & Ride ტიპის პარკირების ადგილთან ერთად მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს გარემოზე და კომფორტზე მოგზაურობის დროზე. ამ ინვესტიციის განხორციელებაზე პასუხისმგებელი სუბიექტები შეიძლება იყოს სააქციო საზოგადოება პოლონეთის ეროვნული რკინიგზასა და შპს პოლონეთის ეროვნული რკინიგზა SKM, რომელიც მერიასთან თანამშრომლობით განახორციელებს ინვესტიციებს.
b. განხორციელებასთან დაკავშირებული საორგანიზაციო საკითხები და პოტენციური დაბრკოლებები / შეზღუდვები	

	გამოხმაურება
31. შეაჯამეთ შემოთავაზებული ღონისძიებები პროექტის განხორციელების ზედამხედველობისა და/ ან მართვისათვის.	პროექტის მომზადების, დანერგვისა და შესრულებისთვის შეიქმნება პროექტის განმახორციელებელი გუნდი, რომელიც იქნება შემდგარი გდანსკის განვითრების დირექციისა და რამდენიმე განყოფილების თანამშრომლებისგან (რომელი განყოფილებებიც მსგავს პროექტებზე ერთობლივად მუშაობს ქალაქ გდანსკის საორგანიზაციო სტრუქტურას შესაბამისად). ამ სტრუქტურის ფარგლებში ის გუნდები იმუშავებენ პროექტზე, რომელთაც ერთმანეთთან მჭიდრო და ეფექტური თანამშრომლობის გამოცდილება, საჭირო ცოდნა, და ის უნარ-ჩვევები გააჩნიათ რომელიც უზრუნველყოფს კოორდინაციას, დიზაინის კონტროლს, ორგანიზებულობას და საინვესტიციო პროექტის ეფექტურად განხორციელებას. პროექტში თითოეული მონაწილე პასუხისმგებელი იქნება ძალიან კონკრეტულ საქმიანობაზე. 1. გდანსკის მერია გდანსკის მერიის სახელით განვითარების პროგრამების დეპარტამენტი ახორციელებს საკონტროლო პროცედურებს შემდეგი მიმართულებებით : • განსახლებისა და მართვის განყოფილების ინფორმაციული ერთობლიობა ეხება ინფორმაციას საინვესტიციო პროექტების განხორციელებისა და ქალაქის ხელისუფლების მიზნებისათვის პორტფელის ბალანსის შესრულების შესახებ ინფორმაციის შეგროვებასა და განვითარებას, მონიტორინგი ხორციელდება ევროკავშირის და უცხოური ფონდების განცხადებებზე, პროექტებზე და მათი დაფინანსების წყაროებზე; • წრფივი ინვესტიციების განყოფილება და კუბატურული ინვესტიციების განყოფილება, სხვებთან ერთად დაკავდებიან შემდეგი საქმიანობებით: ○ ინვესტიციების განმახორციელებელი ერთეულების ანგარიშგებების ფორმალური შემოწმებით, ○ ქალაქის ორგანიზაციული ერთეულების მიერ განხორციელებული პროექტების ინვესტიციის პროცესის, განხორციელების განრიგის, მატერიალური და ფინანსური მოცულობის კოორდინირებით და მონიტორინგით ○ გარე წყაროებით დაფინანსებული პროექტების განხორციელების მოხსენებების და განხორციელების განრიგების მომზადებით დ გაგზავნით კომპეტენტურ ინსტიტუტებში ○ ფონდების ინვესტიციის მონიტორინგით და პროგნოზით, მათი ეფექტური და მოქნილი გამოყენების შესაძლებლობის შექმნით ○ მონიტორინგის შედეგების გამოყენებით პროექტების პორტფელში არსებული პროექტების შეფასების მიზნით. 2. ქალაქ გდანსკის განვითარების დირექცია ქალაქ გდანსკის განვითარების დირექციამ შექმნა შიდა აუდიტის პოზიცია, რომლის ამოცანებია: შიდა აუდიტის ჩატარება საჯარო ფინანსების აქტის დებულებების შესაბამისად. კერძოდ: • მენეჯერთან კონსულტაციით, ყოველწლიური აუდიტის გეგმის მომზადება • ავტორიზაციის ჟურნალის შედგენა, შიდა აუდიტის ჩატარება, მიმდინარე და რეგულარული აუდიტის ფაილების შექმნა;

	გამოხმაურება
	• აუდიტი ყოველწლიური აუდიტის გეგმის საფუძველზე განხორციელება, ობიექტის და მართვის სისტემების ადეკვატურობის, ეფექტურობისა და ეფექტურობის ობიექტური და დამოუკიდებელი შეფასების მიღება ობიექტის ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად; • აუდიტის ანგარიშების შედგენა, რეკომენდაციების გაკეთება, რომლებიც განსაზღვრულია გამოვლენილი ხარვეზის გამოსწორების ან გაუმჯობესების მიზნით; • გადამოწმების ღონისძიებების ჩატარება; • საკონსულტაციო საქმიანობის განხორციელება, მათ შორის, განაცხადების წარდგენა, რომელიც მიზნად ისახავს განყოფილების ფუნქციონირების გაუმჯობესებას; • ყოველწლიური აუდიტის გეგმის განხორციელების შესახებ ანგარიშგების ჩაბარება. პროექტის მიმდინარეობის პროცესში კონტროლის არსი მდგომარეობს მისი განხორციელების სიზუსტის შემოწმებაში, მათ შორის, პროექტის განხორციელების პროგრესისა და გაწეული ხარჯების შესახებ ინფორმაცია ჭეშმარიტების შემოწმებაში. პროექტის განხორციელებისას ამ კონტროლის მექანიზმის მიზანი არის იმ ასპექტების შემოწმება, რომლებიც ვერ შემოწმდება შემოწმების სააგენტოში დოკუმენტების ანალიზისას და აჩენს პროექტის განხორციელებისას პრობლემებს და რომლებიც ვერ გადაწყდება ეფექტიანად პროექტის ადგილზე მისვლის გარეშე. ინსტიტუტები, რომლებსაც შეუძლიათ შეასრულონ ინსპექტირება პროექტის მიმდინარეობისას არიან: • CEF პროგრამის მმართველი ორგანო (განვითარების სამინისტრო - პოლონეთის მხარე) • ევროპის კომისია • ევროკავშირის სატრანსპორტო პროექტების ცენტრი • საგადასახადო ინსპექციის ორგანო; • უმაღლესი აუდიტის ოფისი
32. წარმოადგინეთ მტკიცებულება, რომ პროექტის განხორციელების ზედამხედველობაზე და/ან მართვაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას აქვს საჭირო უნარები (შესაძლებლობები) მსგავსი მასშტაბისა და	ბენეფიციარის ფინანსური შესაძლებლობები პროექტი დაფინანსებულია მხოლოდ ერთი ორგანიზაციის მიერ. პროექტის განხორციელების რესურსები დაიხარჯება ბენეფიციარის საკუთარი სახსრებიდან და ევროკავშირის სახსრებიდან. აქედან გამომდინარე, ბენეფიციარის ფინანსური შესაძლებლობები დამოკიდებულია იმაზე, გააჩნია თუ არა მუნიციპალიტეტს ფინანსური რესურსი პროექტის დასრულებისთვის (აღნიშნული, როგორც ვიცით გათვალისწინებულია გდანსკის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში და მრავალწლიანი საინვესტიციო გეგმაში). ბენეფიციარის გამოცდილება ქალაქ გდანსკში უკვე რამდენიმე წელია ხორციელდება სხვადასხვა შიდა წყაროებიდან დაფინანსებული მრავალი პროექტი. ასევე, ქალაქის მიერ განხორციელებული ბევრი პროექტი დაფინანსებულია ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდის ფინანსური სახსრებით. ქვემოთ მოყვანილია გდანსკის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ზოგიერთი პროექტი:

	გამოხმაურება
ტიპის პროექტის განხორციელებისათვის, ან მიუთითეთ რა დამატებითი ღონისძიებების გატერება შესაძლებელია იყოს საჭირო პროექტის განხორციელებისათვის.	• "მერინარკის პოლიკის ქუჩის რეკონსტრუქცია - რეჯას ქუჩიდან ვიზვოლენიას ქუჩამდე ნაწილი". ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდის სუბსიდიის ოდენობა არის PLN 32 590 031.20. • "პოდვალე გრომიკიენ ქუჩის და ვალი ჯაგიელონსკიეს ქუჩის რეკონსტრუქცია გდანსკში, ვალი პიასტოვსკიე ქუჩიდან ჰუცისკის ქუჩამდე სექცია". ამ პროექტისთვის ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდის სუბსიდირების მოცულობამ შეადგინა PLN 22 743 670.81. • W - Z მარშრუტის მშენებლობა გდანსკში, ჯაბლონიოს ქუჩის მონაკვეთისკენ, კორსკას ქუჩამდე". ამ პროექტისთვის ევროპის რეგიონალური განვითარების ფონდის სუბსიდიის ოდენობა არის PLN 36 737 392.27.
33. დაადგინეთ პროექტის განხორციელებამდე გასათვალისწინებელი პოტენციური (და კრიტიკული) დაბრკოლებები მაგ: ეკოლოგიური შეზღუდვები ან მიწის გამოსყიდვასთან დაკავშირებული საკითხები ან დამატებითი ღონისძიებები საკანონმდებლო ცვლილებების ჩათვლით.	1. შეთანხმება სს პოლონეთის ნაციონალური რკინიგზასთან, მულტიმოდალური სატრანსპორტო კვანძის კონცეპტუალური დიზაინთან დაკავშირებით (მისასვლელ გზასთან ერთად). უნდა შეთანხმდეს გადაწყვეტა, რომელიც მისაღები იქნება ორივე პარტნიორისთვის, ვინც შესაძლოა მონაწილეობდნენ პროექტში (პროექტის შემდეგი ეტაპი). 2. შეთანხმებები სს პოლონეთის ეროვნული რკინიგზასთან, რომელიც უკავშირდება საინვესტიციო პროცესს და მის გავლენას რკინიგზის ინფრასტრუქტურის ექსპლუატაციაზე. 3. სამშენებლო სამუშაოების დასრულების მიზნით აუცილებელი იქნება მეზობელი ქონებების დროებით გამოყენება, რაც საჭიროებს მათ მფლობელებთან შეთანხმებებს.
F. მდგრადობასთან დაკავშირებული საკითხები	
34. დაასახელეთ ორგანიზაცია, რომელიც იქნება პროექტის მიერ შექმნილი აქტივების მეპატრონე და მმართველი.	მერია გდანსკში გდანსკში მერიის სტრუქტურა შედგება 26 დეპარტამენტისგან, რომლებიც ემორჩილებიან ინდივიდუალურად კონკრეტულ ვიცე-მერს, ქალაქის მდივანს და ქალაქის ხაზინას, და შესაბამისად - გდანსკის მერს. განვითარების პროგრამების დეპარტამენტი, რომელიც პირდაპირ არის ჩართული პროექტში, მერს წარუდგენს ეკონომიკურ პოლიტიკას და იერარქიულად გდანსკის განვითარების დირექციაზე მაღლა დგას. საორგანიზაციო სტრუქტურა, ორგანიზაციულ ერთეულებად დაყოფა და ამ შენაერთების საქმიანობის

	გამოხმაურება
	ფარგლები, ასევე მერიის მმართველი პერსონალის უფლებამოსილებები და მოვალეობები რეგულირდება შემდეგი სამართლებრივი აქტებით: • გდანსკის მერიის დებულება (შესწორებული), • საორგანიზაციო რეგლამენტი (შესწორებული). ვიცე-მერი, რომელიც ეკონომიკურ პოლიტიკას განაგებს, ახორციელებს სტრატეგიულ საქმიანობას ქალაქის დაგეგმვისა და ეკონომიკურ განვითარების კითხით. ასევე ახდენს გარე დაფინანსებიდან დაფინანსებული პროექტების გადახედვას (მათ შორის ევროკავშირისაც). განვითარების პროგრამების განყოფილება ასრულებს კონკრეტულ ღონისძიებებს ქალაქის მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტების კოორდინაციასთან დაკავშირებით. ასევე, ახდენს საინვესტიციო მიზნებისათვის უცხოური ფონდების დაფინანსების მოძიებას და პროექტის მატერიალური და ფინანსური პროგრესის მონიტორინგს ქალაქის მიერ განხორციელებული საინვესტიციო პროექტების სიცოცხლის ციკლის ყოველ ეტაპზე.
35. დაასაბუთეთ, რომ კაპიტალური აქტივის ექსპლუატაციასა და მოვლა პატრონობაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციას აქვს შესაბამისი ტექნიკური, მენეჯერული და ფინანსური შესაძლებლობები. თუ არა, დააკონკრეტეთ რა ღონისძიების გატარება იქნება საჭირო ამ შესაძლებლობების მოსაპოვებლად.	გზების (ავტობანის და ექსპრეს გზატკეცილების გარდა), გამწვანების, ტროტუარების, ველოსიპედის გზების და ა.შ. კუთხით პასუხისმგებელი ორგანიზაცია არის გდანსკის გზისა და მწვანე ადმინისტრაცია (RaGA). ეს ერთეული არის გდანსკის საორგანიზაციო და საბიუჯეტო დანაყოფი. შესაბამისად. RaGA-ს მიერ მოქმედი ობიექტების მოვლა პატრონობის ხარჯები ბიუჯეტიდან მოდის.
36. ახსენით, თუ როგორ მოხდება ექსპლუატაციის, ტექ. მომსახურებისა და ცვეთის ხარჯების დაფარვა პროექტის განხორციელების	აღწერილი პროექტის ფარგლებში არ არის მოსალოდნელი / გათვალისწინებული წარმოქმნილი ინფრასტრუქტურის გამოყენების საფასურის დაწესება, ამიტომ შემოსავლების პროგნოზები არ გაკეთებულა. ბენეფიციარს ეკისრება მხოლოდ ხარჯები, როგორც საინვესტიციო პერიოდში, ასევე საოპერაციო ეტაპზე. ეს იმას ნიშნავს, რომ საოპერაციო, სარემონტო და ცვეთის ხარჯები დაფინანსდება ქალაქის ბიუჯეტიდან.

	გამოხმაურება
შემდეგ, მიუთითეთ საჭირო იქნება თუ არა სამომხმარებლო ტარიფის შემოღება ან გაზრდა.	
37. მოკლედ აღწერეთ ნებისმიერი პოტენციურად მნიშვნელოვანი ზემოქმედება გარემოზე, რომელიც საჭიროებს შემდგომ შესწავლას და მიუთითეთ შესაძლო შესამსუბუქებელი ღონისძიებები (საჭიროების და მიხედვით).	დაგეგმილი ინვესტიციის განხორციელება ხელს შეუწყობს სანდომერიკას ქუჩის მთავარ სარკინიგზო ხაზის E65- თან გადაკვეთის განმუხტვას, რაც ამცირებს CO2- ის და ხმაურის დონეს. დაგეგმილ საინვესტიციო მიდამოში მიმდინარე ავტომობილების მოძრაობის და შლაგბაუმის დროს ავტომანქანების არასასურველი გრძელვადიანი გაჩერების შედეგად, ჩამოყალიბებულია საცობები, რომლებიც უარყოფითად აისახება გარემოზე. გარდა ამისა, პროექტის განხორციელება მოსახლეობას საშუალებას მისცემს მეტად მოიხმარონ ისეთი სატრანსპორტო საშუალები, რომლებსაც ავტომობილებთან შედარებით გარემოზე ნაკლები უარყოფითი გავლენა აქვთ (ავტობუსი, ტრამვაი, მატარებელი).
38. მოკლედ აღწერეთ ნებისმიერი პოტენციურად მნიშვნელოვანი სოციალური ზემოქმედება, რომელიც საჭიროებს შემდგომ გამოკვლევას. კერძოდ, ხარჯების და სარგებლის განაწილება პროექტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის და მიუთითეთ შესაძლო შესამსუბუქებელი ღონისძიებები	ინვესტირება პასუხია აღწერილი რაიონების მოსახლეობის საჭიროებაზე. ინვესტიციის შედეგად არ არის მოსალოდნელი რაიმე უარყოფითი სოციალური თუ გარემოსდაცვითი ეფექტი. საინვესტიციო ეტაპზე საგზაო მოხმარების სირთულეები მოსალოდნელია. მერია ჩაატარებს ფართო საინფორმაციო კამპანიას ინვესტიციის დროის, სამუშაოს და სამომავლო სარგებლის შესახებ. ამასთან, მერია დროებით მოახდენს სატრანსპორტო ნაკადების რეორგანიზებას.

	გამოხმაურება
(საჭიროების და მიხედვით).	
G. მიდგომა შემდგომ კვლევებთან და კონსულტაციებთან დაკავშირებით	
39. ახსენით, პროექტის რომელი ალტერნატივები შეფასდება და რომელი ალტერნატივები იქნება უკუგდებული წინასწარი შერჩევის ანალიზის, ეკონომიკური მდგრადობისა და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით.	შემდეგი ალტერნატივები იქნა გათვალისწინებული პროექტის თავდაპირველი განვითარების პერიოდში: ვარიანტი 0 - არაფრის კეთება. ვარიანტი 1 - რკინიგზის კვეთის მოდერნიზება, ვიადუკის/ხიდის აშენება რომელიც უკავშირდება გზების ქსელს ტროტუარებს და ველოსიპედის გზებს. ვარიანტი 2 - რკინიგზის კვეთის მოდერნიზება, ვიადუკის/ხიდის აშენება რომელიც უკავშირდება გზების ქსელს ტროტუარებს ველოსიპედის გზებს. ასევე, სარკინიგზო პლატფორმის და Park & Ride ტიპის პარკინგის აშენება. სიცოცხლისუნარიანობის და ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით ვარიანტი 1-ის შემდეგ შეფასების ეტაპზე გადაყვანა არის რეკომენდირებული. ვარიანტი 0 მიუღებელია. ვარიანტი 2 საჭიროებს მეტ ყურადღებას შესაძლო კერძო პარტნიორების ჩართვის და დამატებითი დაფინანსების წყაროების გამო. დამატებით, პროექტის მასშტაბი უნდა იყოს განხილული მეტ დეტალებში და იქნეს შეთანხმებული მთავარ პარტნიორთან - ნაციონალური რკინიგზის კომპანიასთან.
40. ჩამოთვალეთ რა შემდგომი კვლევების ჩატარება გახდება საჭირო შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე. თუ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა მოითხოვს პროექტის შეფასების შემოკლებული სიის	პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ტექნიკურ-ეკონომიკური კვლევა უნდა მომზადდეს შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით: • გადაკვეთის ყველა შესაძლო ტექნიკური ვარიანტის ანალიზი საზოგადოებრივი გზების ქსელთან შესაბამისი შეერთებების გათვალისწინებით. კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა იყოს გამახვილებული დაცული ტერიტორიების, ბუნების, ძეგლთა დაცვის ზომებზე და შესაბამის კანონმდებლობაზე და ასევე უნდა გადამოწმდეს ზონირების გეგმასთან თავსებადობა. • ოპტიმალური შენობა ნაგებობის განსაზღვრა სარკინიგზო ტრასის ორდონიანი გზაჯვარედინის გათვალისწინებით და მისი ძირითადი ტექნიკური პარამეტრების განსაზღვრა, საჯარო საგზაო ინფრასტრუქტურის ინვესტიციების რეგულაციის კანონების და რეგულაციების გათვალისწინებით. • პროექტის მატერიალური და ფინანსური მოცულობის, ასევე ეკონომიკური სიცოცხლისუნარიანობის განსაზღვრა; • ახლად აშენებული და მოდერნიზებული ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობის ხარჯების დეტალური შეფასება.

	გამოხმაურება
დამატებით შეკვეცას, ახსენით რატომ.	
41. დაადგინეთ კონკრეტული საკითხები, რომელსაც უნდა დაეთმოს განსაკუთრებული ყურადღება შემდგომი კვლევების ფარგლებში; მათ შორის მსგავსი პროექტების პრე და პოსტ შეფასებები.	<u>აღნიშნული (მცირე) პროექტისთვის:</u> • მულტიმოდალური ტრანსპორტის ცენტრის კონცეპტუალური დიზაინის შემუშავება და აშენება გდანსკში - ორუნიაში. • ბიუჯეტზე მასალის რაოდენობის გაზრდის ეფექტის შეფასება • ინვესტიციის ხარჯი-სარგებლის ანალიზი <u>პროექტის გასაგრძელებლად:</u> • კერძო სექტორთან თანამშრომლობის (PPP) ლეგალური ასპექტები • PPP-ში კოოპერაციის ბიზნეს მოდელები • პროექტის პარტნიორებს შორის რისკის დისტრიბუცია. • ინვესტიციაში პარტნიორის ჩართულობის შეფასება • Park & Ride ტიპის პარკირებაზე მოთხოვნის შეფასება
42. დაადასტურეთ, საჭირო გახდება თუ არა სოციალური ზემოქმედების შეფასება. თუ კი, დააკონკრეტეთ რა საკითხებზე უნდა გამახვილდეს ყურადღება.	უნდა მომზადდეს პროექტის ეკონომიკური ანალიზი, შემდეგი სოციალური და ეკონომიკური გავლენების ჩათვლით: • დაცულობის დონე მძღოლებისთვის და ფეხითმოსიარულეებისთვის • მგზავრობის კომფორტის დონე • მაცხოვრებლის კმაყოფილების დონე • ცხოვრების კომფორტის დონე • მძღოლებისთვის დროის დაზოგვის დონე.
43. მიუთითეთ, არსებობს თუ არა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) სამართლებრივი ვალდებულება. თუ არა, დაადგინეთ მნიშვნელოვანი უარყოფითი ან დადებითი ზემოქმედება, რაც ისედაც წარმოშობს შეფასების საჭიროებას. მოკლედ ჩამოთვალეთ	გარემოზე ზემოქმედების შეფასება (EIA) და Natura 2000-ის საკითხები უნდა იქნეს განხილული შესაბამისი პოლონური და ევროკავშირის გარემოსდაცვითი რეგულაციების შესაბამისად. 2008 წლის 3 ოქტომბრის კანონი გარემოზე და მის დაცვასთან დაკავშირებით, გარემოსდაცვით სფეროში საზოგადოების მონაწილეობისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (2016 წლის კანონთა ჟურნალი, 353 პუნქტი, შესწორებული). თუ ეს პროექტი მიეკუთვნება იმ პროექტების ჯგუფს, რომლებმაც მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება იქონიონ გარემოზე, უნდა მომზადდეს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასება პროექტის მომზადების ეტაპზე.

	გამოხმაურება
ძირითადი ზემოქმედებები გარემოზე, და ზემოქმედების შეფასების სფეროები, რაზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება.	
44. აღწერეთ ნებისმიერი ფორმალური ან არაფორმალური კონსულტაციები, რომელიც უნდა ჩატარდეს შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღებამდე.	• კონსულტაციები კერძო პარტნიორებთან და დაინტერესებულ მხარეებთან პროექტის მასშტაბის გაზრდის თაობაზე • კონსულტაციები მაცხოვრებლებთან პროექტის მასშტაბის გაზრდის თაობაზე